სახელმწიფო და შრომითი ურთიერთობები / შრომის ინსპექტირება
(საერთაშორისო სტანდარტები VS საქართველო)

ანანო ჩხეტია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომის ხელმძღვანელი : ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ანანო ჩხეტია

18.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სახელმწიფო შრომის პოლიტიკა, შრომითი ურთიერთობები და ამ სფეროში არსებული პრობლემები.

მოცემული საკითხი, მისი შინაარსიდან გამომდინარე დღევანდელი მსოფლიოსათვის აქტუალური და პრობლემატურია. ინდუსტრიული რევოლუციის შემდგომმა ეკონომიკურმა თუ სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა და გავნითარებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა შრომითი ურთიერთობები.

ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო, თუმცა შრომითი ურთიერთობები დღემდე აქტუალური და პრობლემატური საკითხია. გლობალიზაციამ და ეკონომიკის ამგვარი ტემპებით განვითარებამ მსოფლიო ისეთი გამოწვევების წინაშე დააყენა, როგორიცაა: შრომითი ექსპლუატაცია, სამუშაო დროის გადაჭარბება, ბავშვთა შრომა, შრომის უსაფრთხოებასთან არსებული პრობლემები და ა.შ. მსგავსი პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გარდამავალ დემოკრატიულ სახელმწიფოებში დგას. უპირველესად იმიტომ, რომ გარდამავალ დემოკრატიებში არ არსებობს მყარი ინსტიტუტები და ეკონომიკა, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ინვესტორის მოზიდვასა და მისი ინტერესების მორგებაზე. ამგვარი პოლიტიკის არსებობისას კი, შრომითი უფლებების უგულებელყოფა, მათი დარღვევა და აღსრულების მექანიზმების არარსებობა სრულიად ლოგიკურია.

საქართველო ტრანზიციულ დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება. აქედან გამომდინარე შრომითი ურთიერთიბების მიმართულებით სახელმწიფო მრავალი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დგას. საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების, ასოცირების ხელშეკრულების თუ სხვადასხვა მექანიზმებისა არსებობის მიუხედავად , შრომითი ურთიერთობების კუთხით საქართველო ვერ და არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ინსპექტირების მექანიზმი საქართველოში დღემდე ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან გაუმართავი სისტემა, ვიწრო

უფლებამოსილებები და აღსრულების მყიფე მექანიზმები მყარი და ქმედითი ინსტიტუციის შექმნის საშუალებას არ იძლევა.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია დაგვანახოს, რომ მიუხედავად პოლიტიკური იდეოლოგიისა, გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ეკონომიკური კურსისა სახელმწიფო ვალდებულია დაარეგულიროს შრომითი ურთიერთობები და უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რაც მისი უშუალო ვალდებულებაა. ასევე დაგვანახოს თუ რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს შრომითი ურთიერთობების მიმართულებით, რა საერთაშორისო ვალდებულებები აქვს ნაკისრი საქართველოს და რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით ქვეყანაში. ნაშრომის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე დაგვანახოს, რომ შრომითი ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების დანერგვა უარყოფითან არ აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელზე.

საძიებო სიტყვები: შრომითი ურთიერთობები, სახელმწიფო შრომის პოლიტიკა, შრომის ინსპექტირება.

Abstract

This thesis reviews the much important issues as a labor policy, labor relationship and problems in the labour system. Nowadays this subject is quite problematic and actual worldwide. The industrial revolution, social and political changes, development of economics and has made the Labor Relations important part of daily life.

Ages have passed since the Industrial Revolution but the Labor Relations problems remain same with their importance. Globalization and fast economical grow have raised the labor exploitation, overtimes, child labor and workplace safety as big challenges against the modern world. Such problems are more acute in the transitional democracy countries as in transitional democracy there are no sustainable institutions and economics focused on investors raising which itself raises the problems such as labor right violation and weakness of enforcement mechanisms.

Georgia belongs to transitional Democracy counties list and therefore in terms of labor regulation it faces many problems and challenges. Despite the fact that Georgia has declared international obligations, Association Agreement with EU in terms of labor relation Georgia is not meet the international standards. The inspection mechanism is pure formality till nowadays as the defective system and weak enforcement mechanisms cannot be the fundament for the effective and sustainable institution.

The aim of this work is to show that, despite the political ideology, geopolitical location and economic course the State is obliged to regulate labor relations and ensure the protection of fundamental rights of its citizens, which is his direct obligation. Also show us what are the international standards in labor relations, what international obligations Georgia has and what situation is in the country (in this direction). I also show examples of different countries that introduction of regulatory mechanisms for labor relations will not be negatively impacted on the country's economic development index.

Key words: Labor relationship, Labor problems, Labour system, Labour inspection.